



ბამოწვებაში:


ტრენერ-  
კონსულტანტთა  
მომზადების  
ტრენინგ –  
პროგრამა  
(გაგრძელება)

სიტუაციური  
ანალიზი  
დევნილთა  
განათლების  
საკითხებზე

ინტერნეტ-  
ფორუმი

ქსელის  
ოფიციალური  
დაარსების  
ინიციატივა

ტრენერ-  
კონსულტანტთა  
მომზადების  
ტრენინგ-  
პროგრამა



### ტრენერ-კონსულტანტთა მომზადების ტრენინგ-პროგრამა - გაგრძელება

#### ტრენინგი ტრენერებისათვის №7.

ქსელის ტრენერ-კონსულტანტების მომზადების პროგრამა პროექტის განხორციელების მესამე კვარტალშიც გაგრძელდა. ამჟამად ტრენინგი ტრენერებისათვის ქ. ზუგდიდში ჩატარდა 2007 წლის 25-27 აგვისტოს, რომლის ფასილიტირებაც განახორციელა პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის - ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“ (SFSA), წარმომადგენელმა ბ-მა პაატა პაპავამ. ტრენინგის თემა გახლდათ „სახელმწიფო და არასახელმწიფო ენების ასახვა ეროვნულ სასწავლო გეგმაში“. ამ თემაზე ტრენინგის ჩატარება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ სავარაუდოდ კონფლიქტის ზონებში სახელმწიფო და არასახელმწიფო ენების სწავლების საკითხი იქნება ქსელის მიერ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული შესათავაზებელი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ამ თემისადმი ინტერესი დევნილების თითქმის ყველა შეხვედრაზე გამოიკვეთა. ტრენინგის მსვლელობისას დიდი ყურადღება გამახვილდა ენების სწავლების მნიშვნელობაზე ზოგადად, როგორც კონფლიქტების მოგვარებისა და დევნილების დაბრუნებისათვის ერთ-ერთ ეფექტურ ფაქტორზე.

### სიტუაციური ანალიზი დევნილთა განათლების საკითხებზე

დევნილთა განათლების საკითხებზე სიტუაციური ანალიზის ჩატარება და სთანადო კვლევის საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორედ ასეთი მიდგომით გამოირჩევა პროექტი სხვა შეთავაზებებისაგან. უნდა ითქვას, რომ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის VI თავში, რომელიც სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ძირითად პრინციპებს ეხება 1.4 პუნქტად არის მოცემული მოქმედებათა დაგეგმვის აუცილებლობა სანდო ინფორმაციისა და კვლევების შედეგებზე დაყრდნობით. სწორედ ამ მიდგომის გამოსხმარებაა სიტუაციური ანალიზის ორგანიზება წინამდებარე პროექტის ფარგლებში.

ვიდრე პროექტის ფარგლებში მოხდება სიტუაციური ანალიზის ჯგუფის ფორმირება და დაიწყება მასშტაბური კვლევის განხორციელება, ტრენერ-კონსულტანტების თბილისის ჯგუფის ინიციატივით განხორციელდა მცირემასშტაბიანი კვლევა, რომლის მთავარი ამოცანა გახლდათ გაერკვია, არსებობდა თუ არა კავშირის დევნილთა კოლექტიური ცხოვრების ცენტრებში და დევნილთა სკოლებში სწავლებასა და აფხაზეთში დაბრუნების მოტივაციას შორის, ანუ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია აისახება თუ არა უარყოფითად მუდმივის ცხოვრების ადგილებში დაბრუნების სურვილზე.



საინფორმაციო შეხვედრა თბილისში

## 2 დევნილთა ინტეგრაცია განათლების გზით

პროექტის განხორციელების მომდევნო ეტაპზე, აღნიშნული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ორგანიზება გაუკეთდება დევნილთა განათლების საკითხებზე სიტუაციური ანალიზის მასშტაბურ სამუშაოებს, რასაც შედეგად მოჰყვება პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და სათანადო ლობირება ხელისუფლების დონეზე. იმისათვის, რომ ეს პროცესები ქსელმა წარმართოს კვალიფიცირებულიად ყურადღება გამახვილდება ქსელის წევრების სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვაზე, რაც გულისხმობს ხუთივე საპროექტო ქალაქში/რეგიონში ადგილობრივი ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას შემდეგ თემებზე:

1. სიტუაციის ანალიზი და პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა (მოდული 5)
2. განათლების პროგრამებისა და პროექტების მართვა (მოდული 11)
3. სკოლების დაფინანსების სისტემა - საერთაშორისო გამოცდილება (მოდული 6)
4. სკოლის მართვისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები (მოდული 7-8)
5. ეროვნულ კურიკულუმში სახელმწიფო და არასახელმწიფო ენების ასახვის (მოდული 9)
6. ადვოკატირების კამპანია (მოდული 10)
7. სკოლებში სწავლების თანამედროვე მეთოდები (მოდული 7)
8. სკოლის მენეჯმენტი და სისტემის განვითარება (მოდული 8)
9. პროგრამის მონიტორინგი / შეფასება და ფონდების მოძიება და ორგანიზაციული მდგრადობა (მოდული 12-13)



საინფორმაციო შეხვედრა ქუთაისში

### ინტერნეტ-ფორუმი:

განათლების გზით დევნილთა ინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ინტერნეტ ფორუმის შექმნა. სწორედ ამ მიზნით განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) ვებ გვერდზე დაიწყო ფუნქციონირება აღნიშნულმა ინტერნეტ ფორუმმა ([www.eepm.org.ge](http://www.eepm.org.ge)). ფორუმი საშუალებას მოგვცემს, რომ დევნილთა სტრატეგიისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელების თუ შეფასების საკითხებში აქტიურად ჩაერთოს დევნილები და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება, როგორც საპროექტო ქალაქებიდან/რეგიონებიდან, ასევე საქართველოსა და საზღვარგარეთის ნებისმიერი ადგილიდან. მოგიწოდებთ, ისარგებლოთ ამ სერვისით.



სამუშაო შეხვედრა სიტუაციური ანალიზის ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად

### ქსელის ოფიციალური დაარსების ინიციატივა

პროექტის შექმნის ეტაპზე ძნელი იყო იმის ზუსტი პროგნოზირება თუ დევნილი მოსახლეობის რაოდენობა გამოხატავდა ინტერესსა და მზაობას ჩართულობის გზით დევნილთა ინტეგრაციის საკითხზე განხორციელებულ პროექტში, შესაბამისად დევნილთა განათლების ხელშემწყობი ქსელის ორგანიზაციულ ფორმირებაზე მკაფიო გეგმა არ არსებობდა. გადაწყდა, რომ ეს საკითხი უშუალოდ პროექტის მონაწილეთა გადასაწყვეტი იქნებოდა.

პროექტის განხორციელების მიმდინარე ეტაპზე პროექტში აქტიურად ჩართულმა ადამიანებმა გამოხატეს სურვილი, რომ აღნიშნული ქსელი ჩამოყალიბდეს, როგორც ორგანიზაცია. ამ იდეას პროექტის განხორციელებლი კოალიცია დადებითად შეხვდა და შეეცადა, რომ ამ გზაზე დახმარება გაეწია დევნილებისათვის საკმაოდ მასშტაბური ორგანიზაციის ფორმირებაში.

ამ იდეის პოზიტიურობის დასამტკიცებლად სხვა არგუმენტებს შორის უმთავრესი ისაა, რომ ორ-

განიზაციის ფორმირებას პროექტის განხორციელების თითქმის შუა ეტაპზე ის დადებითი მხარე აქვს, რომ ვიდრე არსებობს რესურსები საინიციატივო ჯგუფში არსებული ლიდერები შეძლებენ ზედმეტი სირთულეების გარეშე ორგანიზაციული სირთულეების დაძლევის, მისი ფორმირების რთული ეტაპების გავლას და პროექტის დასრულებას უფრო მომზადებული შეხვედებიან, რაც თავის მხრივ პროექტში ჩაღებული იდეების სიცოცხლისუნარიანობის წინაპირობა იქნება.

ადგილობრივი საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება

პროექტის განხორციელების მიმდინარე ეტაპზე საპროექტო ქაღალეებში ორგანიზება გაუკეთდა საინფორმაციო შეხვედრებს იმ ადამიანების თუ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებმაც სურვილი გამოხატეს ქსელში გაწევრიანების შესახებ. აღნიშნულ შეხვედრებზე მონაწილეებს საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ, განიხილეს ხელისუფლების მიერ შემუშავებული დევნილთა სტრატეგიის სამოქმედო გეგმა და დაგეგმილი უახლოესი ტრენინგების პროგრამა, დევნილთა განათლების სიტუაციური ანალიზის ჯგუფის შექმნის საკითხები, ასევე ქსელის ოფიციალური დაფუძნების ინიციატივა და, კონკრეტულად, წესდების სამუშაო ვარიანტი.



ქსელის წესდების განხილვა

ადგილობრივი ორგანიზაციების დაფუძნება

მას შემდეგ, რაც მოხდა ქსელის წესდების განხილვა და გამოთქმული რეკომენდაციების ასახვა მასში, დაიგეგმა ადგილობრივი ორგანიზაციების დაფუძნება, რასაც შემდეგ უნდა მოჰყვეს ორგანიზაციის რეგისტრაცია. გვსურს შემოგთავაზოთ ადგილობრივი ორგანიზაციების დაფუძნების სავარაუდო განრიგი: 7 დეკემბერი - თბილისი; 10 დეკემბერი - გორი; 11 დეკემბერი - ქუთაისი; 12 დეკემბერი - ზუგდიდი; 15 დეკემბერი - კოდორი.

აქვე გვსურს შემოგთავაზოთ ქსელის წესდებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაკვეთი:

**არასამეწარმეო იურიდიული პირი  
„დევნილთა პრობლემების კვლევისა და ადვოკატირების საგანმანათლებლო ქსელი“**

**2. კავშირის საქმიანობის მიზანი**

„კავშირის“ საქმიანობის მიზანია:

- საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით დევნილი მოსახლეობის საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფების ჩართვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ხარისხიანი განათლების მიღების საკითხში დევნილთა პრობლემების კვლევა საინფორმაციო ბაზის შექმნის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით;
- დევნილთა ინტერესების შესახებ საინფორმაციო და ადვოკატირების კამპანიების წარმოება.

**6. კავშირის წევრობა**

6.1. ქსელის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, თუ ის აღიარებს და იცავს ქსელის წესდებას და იღებს მონაწილეობას საწესდებო ამოცანების განხორციელებაში.

6.2. ქსელის წევრებს ენიჭებათ ასოცირებული, თავისუფალი და ნამდვილი წევრის სტატუსი, რაც განისაზღვრება კავშირის საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხით.

6.3. ქსელის ასოცირებული წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დევნილი/იძულებით გადაადგილებული პირი (საქართველოს მოქალაქე) ან დევნილთა საკითხებზე მუშაობის მინიმუმ 1 წლის გამოცდილების მქონე, როგორც ინდივიდუალური პირი, ისე კოლექტივი/ორგანიზაცია.

6.4. ქსელის ასოცირებულ წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ქსელის საქმიანობაში, დაესწროს სამუშაო შეკრებებს, სხდომებს და შეიტანოს წინადადებები განსახილველად. მას გააჩნია სათათბირო ხმის უფლება და ის არ აირჩევა

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოებში. ასოცირებული წევრი ამ სტატუსის შექენიდან 6 თვის შემდეგ შეიძლება გახდეს თავისუფალი წევრი, თუ ის:

- აქტიურად არის ჩართული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში და ღონისძიებებში;
- უზრუნველყოფს ახალი პროექტის შექმნას, რომელიც დამტკიცებული იქნება ქსელის ხელმძღვანელობის მიერ.

6.5. თავისუფალი წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის მიერ განხორცი-

უფლებულ საქმიანობაში (დინისძიებებში და პროექტებში), შეასრულოს ქსელის მიერ განსაზღვრული ამოცანები და ხელმძღვანელობის დავალებები, დაიცვას ორგანიზაციის შიდაგანაწესი, გაუფრთხილდეს ქსელის იმიჯსა და ავტორიტეტს.

6.6. თავისუფალ წევრს უფლება აქვს: დაესწროს სხდომებს; ისარგებლოს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია ქსელის მიერ დაგეგმილ, მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე თუ ღონისძიებებზე.

6.7. თავისუფალი წევრი სარგებლობს საარჩევნო ხმის უფლებით. ის შეიძლება არჩეულ იქნას ადგილობრივი ორგანიზაციის მმართველ სტრუქტურებში.

6.8. თავისუფალ წევრს ქსელში გაწვევრიანებიდან მინიმუმ 1 წლის შემდეგ შეიძლება მიენიჭოს ნამდვილი წევრის სტატუსი, თუ ის:

- აქტიურად არის ჩართული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში და ღონისძიებებში;



ადგილობრივი ორგანიზაციის დაფუძნების მომზადება

- უზრუნველყოფს ახალი პროექტის შექმნას, რომელიც დამტკიცებული იქნება ქსელის ხელმძღვანელობის მიერ და მისი დახმარებით პროექტის დაფინანსებას.

6.9. ნამდვილ წევრს უფლება აქვს:

- არჩეულ იქნას, როგორც ადგილობრივი ორგანიზაციის, ასევე ქსელის საერთო ხელმძღვანელ ორგანოებში;
- წარადგინოს კანდიდატურა;
- მონაწილეობა მიიღოს ქსელის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში;
- უპირატესი უფლებით ისარგებლოს ქსელის მატერიალური და საინფორმაციო ბაზით;
- მიიღოს ინფორმაცია ქსელის და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის შესახებ;
- დააყენოს საკითხი, წარადგინოს წინადადებები და პროექტები.

ბი.

6.10. ქსელის წევრს უფლება აქვს ნებაყოფლობით გავიდეს კავშირის შემადგენლობიდან.

6.11. წევრის მიღების და წევრის სტატუსის ცვლილების საკითხს წყვეტს მმართველი კომიტეტი/გამგეობა.

6.12. ქსელის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას საწესდებო მოთხოვნები;
- დაიცვას შინაგანაწესი;
- წინ აღუდგეს ქსელის ავტორიტეტის შელახვის ყოველგვარ მცდელობას;
- უზრუნველყოს ქსელის ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილების შესრულება;
- გადაიხადოს გაწვევრიანების და საწევრო გადასახადი, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს ქსელის მმართველი კომიტეტი;
- თავისი საქმიანობით არ დაუშვას ორგანიზაციის სახელისა და საქმიანობის დისკრედიტაცია;
- არ გაამჟღავნოს ქსელის კონფიდენციალური ინფორმაცია.

6.13. ქსელის საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის პიროვნებებს, მენეჯერთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა დამტკიცდეს კონგრესზე, შეიძლება მიენიჭოთ:

- ქსელის საპატიო წევრის სტატუსი;
- ქსელის საპატიო მეგობრის სტატუსი;

ქსელის საპატიო მენეჯერის სტატუსი.

6.14. საწესდებო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ქსელის წევრი მმართველი კომიტეტის/გამგეობის გადაწყვეტილებით გაირიცხება ორგანიზაციიდან. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნას ქსელის საერთო კრებაზე/კონგრესზე, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

კოალიციური პროექტი „დევნილთა ინტეგრაცია განათლების გზით“

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

პროექტის წამყვანი ორგანიზაცია: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM)

ბარნოვის ქ. №56  
თბილისი 0109

ტელ.: +995 (32) 914933  
ფაქსი: +995 (32) 914933

ელ. ფოსტა: [eppm@eppm.org.ge](mailto:eppm@eppm.org.ge)  
ვებ გვერდი: [www.eppm.org.ge](http://www.eppm.org.ge)